საქართველოს კულტურის სამინისტროს ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

01/01/2025 – 10/12/2025

საქართველოს კულტურის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მიერ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიში მომზადებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად. ანგარიში მოიცავს 2025 წლის 01 იანვრიდან[1] 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. საანგარიშო პერიოდში სამინისტროში სულ შემოვიდა 53 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. განცხადებები მიღებულია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სამინისტროში შემოსული განცხადებებიდან 13 შემთხვევაში განცხადებებში მითითებული საკითხები მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას და შესაბამისად, განცხადებები გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს. მიღებული განცხადებებიდან 34 დაკმაყოფილდა, ხოლო 6 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში არ შემოსულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.

სამინისტროში შემოსულ განცხადებათა აბსოლუტური უმრავლესობით მოთხოვნილია ერთზე მეტი, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალი სახის ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსული განცხადებები განიხილა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა - სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა) - გუგა მირიანაშვილმა.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები მათთვის დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Eflow-ში) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების

[1] „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის №82-Iმს-XIმპ კანონის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაცია და 2025 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კულტურის სამინისტრო ჩამოყალიბდა ცალკე უწყებად.

უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტრო ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა შესაბამის სამართლებრივ აქტებს. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს არ ჰქონია მის მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევა ან/და გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები (მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები).